სახელმძღვანელოები

2024

მოკლე სახელმძღვანელო ბავშვების ციფრული უსაფრთხოების შესახებ

NVინფორმაცია თინეიჯრებისთვის ონლაინ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ (14-18 წელი)

ავტორი

ანა არგანაშვილი

ეს სახელმძღვანელო მოამზადა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“, ევროპის საბჭოს პროექტის - „ბავშვის ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღკვეთა@ევროპა პლუსი“ - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია Safe Online-ის მიერ.

ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ავტორის პასუხისმგებლობაა და არ ხდება ევროპის საბჭოს ოფიციალური პოლიტიკის ზუსტად ასახვა ან Safe Online.

Safe Online არის ერთადერთი გლობალური საინვესტიციო მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების დაცვას ციფრულ სამყაროში. ინოვაციებში ინვესტირებისა და მნიშვნელოვანი მონაწილეების შეკრებით, Safe Online ხელს უწყობს ციფრული გარემოს შექმნას, რომელიც უსაფრთხო და შესაძლებლობების მიმცემი იქნება ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისთვის, ყველგან.
გაიგეთ მეტი: https://safeonline.global/

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.
www.coe.int/

ინფორმაცია თინეიჯერებისთვის ონლაინ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ (14-18 წელი)

მოძალადეები სულ უფრო მეტად ცდილობენ თინეიჯერების/მოზარდების პირადი ცხოვრების უფლების დარღვევასა და სექსუალური ძალადობის განხორციელებას, მათ შორის, ონლაინ სივრცეში.

მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია ამოვიცნოთ მოძალადე და გავუმკლავდეთ მას თუ შემდეგ რჩევებს გავითვალისწინებთ:

გრუმინგი[1]

(თინეიჯერის დაყოლიება შეხვედრაზე, რათა მოძალადემ განახორციელოს დაგეგმილი სექსუალური ძალადობა).

როგორ იქცევიან გრუმინგის დრო მოძალადეები:

1. **მიზანში ამოღება**
   ონლაინ მოძალადეები ქმნიან ყალბ პროფილებს ინტერნეტში. ხშირად, თინეიჯერად ეცნობიან მიზანში ამოღებულ მოზარდს და სთავაზობენ კომუნიკაციას. მოძალადეები ხშირად ირჩევენ ისეთ მოზარდს, რომელიც მათი ნაცნობია ან საერთო სანაცნობო წრიდანაა.

2. **ნდობის დამყარება.**
   მოძალადეები ონლაინ ნდობას ამყარებენ იმით, რომ მოზარდს თავს განსაკუთრებულ ადამიანად აგრძნობინებენ. მიზნის მისაღწევად მას გადამეტებულ კომპლიმენტებს ეუბნებიან და არ იშურებენ ყურადღებას.

3. **ნდობის გარღმავება**
   ონლაინ მოძალადე სულ უფრო ხშირად ურთიერთობს მოზარდთან და თავისი ყალბი პროფილით, ფაქტობრივად, მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. ეს ურთიერთობა შეიძლება გადაიზარდოს ღრმა მეგობრობაში ან რომანტიკულ ურთიერთობაში. მიზანში ამოღებული თინეიჯერი ფიქრობს, რომ კომუნიკაცია თავის თანატოლთან აქვს, მაგრამ, სინამდვილეში, ყალბი პროფილის უკან მასზე ბევრად უფროსი დამნაშავე დგას, რომელიც მის გარდა, ანალოგიური გზით, სხვა თინეიჯერებთანაც ამყარებს კონტაქტს. ონლაინ მოძალადე ამ ურთიერთობის დროს ცდილობს წაშალოს ზღვარი ურთიერთობის ნორმალურ და არანორმალურ ფორმებს შორის.

[1] INHOPE, Recognising the Stages of Grooming: https://inhope.org/EN/articles/the-stages-of-grooming

4. **სექსუალური შინაარსის შემოპარება და „განორმალურება“**
   მას შემდეგ, რაც ონლაინ მოძალადე მიაღწევს ნდობის მაღალ დონეს, იგი იწყებს სამიზნე თინეიჯერისთვის სექსუალური შინაარსის მასალის გაგზავნას ან სექსუალურ თემაზე საუბარს. ის თან მოზარდს არწმუნებს, რომ ეს ნორმალურია და თუ მოზარდი უარს იტყვის, ეს მისი მხრიდან უცნაურ და ბავშვურ ქმედებად ჩაითვლება. ამით ონლაინ მოძალადე ემზადება სექსუალური შინაარსის ფოტოებისა და მასალი მოთხოვნისათვის!

5. **კონტროლის შენარჩუნება**
   ონლაინ მოძალადე ხშირად მოზარდს მოუწოდებს, რომ საიდუმლოდ შეინახოს მასთან ურთიერთობა, რადგან ამ გზით ინარჩუნებს მასზე კონტროლს. ასევე, აიძულებს თინეიჯერს, რომ გადააგზავნოს მასთან ისეთი შინაარსის ფოტო ან ვიდეო, რომლის გამოყენებითაც მომავალში დააშანტაჟებს და აიძულებს ურთიერთობის გაგრძელებას.

როგორ იქცევი ამ დროს[2]:

- არ ინერვიულო, შენი ბრალი არაფერია და არ ხარ მარტო;
- დაიმახსოვრე, რომ ყველა პრობლემა მოგვარებადია;
- უთხარი ამის შესახებ ვისაც ენდობი, რათა ის დაგეხმაროს სიტუაციისგან თავის დაღწევაში;
- შეწყვიტე ონლაინ მოძალადესთან კომუნიკაცია;
- არ დაემორჩილო მის ბრძანებას ფულის ან სხვა რამის გაგზავნაზე;
- მტკიცებულებების სახით შეინახე მისი შანტაჟის ამსახველი მასალა (მაგ. სქრინი);
- დაუკავშირდი ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზს ან პოლიციას.

CSAM[3] ანუ ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემცველი მასალის გამოძალვა და გავრცელება[4]

ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველ მასალას ადრე პორნოგრაფიულ მასალას უწდოებდნენ. თუმცა, დღესდღეობით ეს ტერმინი უნდა შევცვალოთ, რადგან **ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემცველი მასალის გამოძალვა და გავრცელება** უფრო კარგად ასახავს ქმედების ძალადობრივ ხასიათს.

[2] INHOPE, What is Sextortion.https://inhope.org/EN/articles/what-is-sextortion
[3] Child Sexual Abuse Material.
[4] INHOPE, What is CSAM. https://inhope.org/EN/articles/what-is-csam

5 Red Flag[5] რამაც ეჭვი უნდა გაგვიჩინოს, რომ ონლაინ მოძალადე CSAM-ს გამოძალვას შეეცდება:

1. **მიზანში ამოღება:**
   ონლაინ მოძალადეები CSAM მიღებას უმეტესად ონლაინ ჩათის ან სოციალური მედიის საშუალებით ცდილობენ, ასევე ონლაინ თამაშების პლატფორმებზე. მოძალადე იწყებს სამიზნე თინეიჯერთან მესიჯების მიწერას ან აკომენტარებს მის პოსტზე. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამორჩეული მოზარდის მიმართ.

2. **ნდობის მოპოვება:**
   ონლაინ მოძალადეები ხშირად იტყუებიან თავის ასაკს და ამბობენ, რომ უფრო პატარები არიან, ვიდრე რეალობაში. უსვამენ მოზარდს კითხვებს მშობლებზე, ოჯახზე, მასწავლებლებსა და მათ ცხოვრებაში არსებულ სხვა უფროსებზე. ამ დროს მოძალადე თინეიჯერის შესახებ პირადი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს. აღნიშნულ ინფორმაციას ის გამოიყენებს, რათა მაქსიმალურად მოერიდოს მოზარდის მიერ დასახელებულ უფროსებთან შეხვედრას ან ურთიერთობას.

3. **საჩუქრები და ჯილდოები:**
   მრავალი ონლაინ პლატფორმა ონლაინ მოძალადეს აძლევს საშუალებას, რომ მოზარდს გაუგზავნოს საჩუქრები. ონლაინ თამაშის დროს მოძალადემ შეიძლება თინეიჯერს შესთავაზოს სასაჩუქრე ბარათი ან ჩაურიცხოს ფული სხვადასხვა აპლიკაციაში.

4. **ურთიერთობაში სექსუალური შინაარსის შემოტანა:**
   ონლაინ მოძალადეები თანდათან იწყებენ სექსუალურ თემებზე საუბარს, მოზარდს უსვამენ უხერხულ კითხვებს პირად ცხოვრებაზე. მოგვიანებით სთხოვენ ისეთ ფოტოს, რომელიც ასახავს მოზარდის სხეულის ნაწილებს ან იმავე შინაარსის ვიდეოს. მოძალადემ შესაძლოა ასევე მოსთხოვოს თინეიჯერს ტელეფონის ნომერი და დამატებით იქ წამოიწყოს საუბარი.

5. **კონტროლის შენარჩუნება:**
   კონტროლის შენარჩუნებას ონლაინ მოძალადე ცდილობს თინეიჯერის პირადი დროის სრულად დაკავებით (კონტროლით) და განუწყვეტელი მოთხოვნით, რომ გაუგზავნოს მას სექსუალური შინაარსის მესიჯები, ვიდეოები და ფოტოები. ადრე გაგზავნილი ფოტოებს კი იყენებს მოზარდის დასაშანტაჟებლად. ასევე, მან შეიძლება მოზარდს მოსთხოვოს ფული და

[5] RAINN: 5 Red Flags and 5 Tips to Protect your Child Online. https://rainn.org/news/5-red-flags-and-5-tips-protect-your-child-online

სხვა. მოძალადემ ასევე, შეიძლება ჩუმად ჩაიწეროს მოზარდის ვიდეო, როდესაც ბავშვს ჰგონია, რომ მხოლოდ კამერა აქვს ჩართული და ჩაწერა არ ხდება (ლაივსტრიმინგი). ონლაინ მოძალადემ შეიძლება გამოიგონოს რაიმე მიზეზი და მოზარდს თავი შეაცოდოს, სინამდვილეში ეს ხრიკი მას სხვებთან აქვს ნასწავლი და იცის, რომ ამით მოზარდზე ზეგავლენას ახდენს.

როგორ ვიქცევით ამ დროს[6]

1. არ ინერვიულო, შენი ბრალი არაფერია და არ ხარ მარტო;
2. დაიმახსოვრე, რომ ყველა პრობლემა მოგვარებადია;
3. უთხარი ამის შესახებ ვისაც ენდობი, რათა ის დაგეხმაროს სიტუაციისგან თავის დაღწევაში;
4. შეწყვიტე ონლაინ მოძალადესთან კომუნიკაცია;
5. არ დაემორჩილო მის მოთხოვნას ფულის ან სხვა რამის გაგზავნაზე;
6. მტკიცებულებების სახით შეინახე მისი შანტაჟის ამსახველი მასალა (მაგ. სქრინი);
7. დაუკავშირდი ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზს ან პოლიციას.

დახმარებისთვის შეგიძლია მიმართო:

- ბავშვთა ცხელი ხაზი: 111.
- პოლიცია: 112.
- სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 1481.
- სპეციალური საგამოძიებო სამსახური: 199.
- არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“: 2 331356.

[6] INHOPE, What is Sextortion. https://inhope.org/EN/articles/what-is-sextortion